ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

ადვოკატი მ. ნ. ადვოკატ ე. ბ.-ის წინააღმდეგ

ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის შემადგენლობა:

ემზარ პაქსაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

იური ვაზაგაშვილი – კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ადვოკატი მ. ნ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 02.07.2010

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი - 044/10

საჩივარი შემოტანილია – ადვოკატის ე. ბ.-ის მიმართ /სიითი N ..../

საჩივრის მოთხოვნა: პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევის გამო, ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა

დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის შემადგენლობა:

ეკატერინე გასიტაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

მარინა კვაჭაძე - კოლეგიის წევრი

ლავრენტი ქავთარაძე - კოლეგიის წევრი

აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2010 წლის 2 ივლისს ადვოკატმა მ. ნ.-მ საჩივრით მომართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ე. ბ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 ადვოკატი მ. ნ. საჩივარში აღნიშნავს, რომ იგი იცავს მსჯავრდებულ გ. მ.-ის ინტერესებს, რომელიც იმყოფება მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ე. ბ. შევიდა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მისი დაცვის ქვეშ მყოფ მსჯავრდებულთან - გ. მ.-სთან და ესაუბრა მას იმის თაობაზე, თუ როგორ მოხვდა იგი აღნიშნულ დაწესებულებაში, რამდენი გადაიხადა და ა.შ.

1.4 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატი ე. ბ. მეორედაც იყო მისული მსჯავრდებულთან და ესაუბრა მას, ხოლო მესამედ მისვლისას, გ. მ.-მა უარი განაცხადა მასთან შეხვედრაზე.

1.5 ადვოკატმა მ. ნ.-მ საჩივარში მითითებული გარემოებების დასადასტურებლად ეთიკის კომისიაში წარმოადგინა მსჯავრდებულ გ. მ.-ის განცხადება, რომლის მიხედვით, ადვოკატი ე. ბ. ორჯერ იყო შესული მსჯავრდებულ გ. მ.-სთან, ეკითხებოდა მსჯავრდებულს, თუ რის საფუძველზე იმყოფებოდა საავადმყოფოში, რა სჭირდა, ვინ დაეხმარა აქ გადმოყვანაში, უსვამდა გაუგებარ კითხვებს.

1.6 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ არც მსჯავრდებულსა და არც მისი ოჯახის წევრებს ე. ბ. ადვოკატად არ დაუქირავებიათ, რადგან მსჯავრდებულს უკვე ჰყავდა ადვოკატი მ. ნ.-ის სახით.

1.7 ადვოკატი მ. ნ. აღნიშნავს, რომ ადვოკატ ე. ბ.-ს იგი არ ჩაუყენებია საქმის კურსში იმის თაობაზე, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს შეხვდა, რაც ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევაა.

2. **ადვოკატის ე. ბ.-ის განმარტების მიხედვით:**

2.1 ადვოკატმა ე. ბ.-მა აღნიშნა, რომ ადვოკატ მ. ნ.-ის საჩივარი დაუსაბუთებელია, რადგან საჩივარში არ არის მითითებული ეთიკის კოდექსის კონკრეტული ნორმა, რომელიც შესაძლოა მის მიერ იყოს დარღვეული.

2.2 ადვოკატმა ე. ბ.-მა განმარტა, რომ მსჯავრდებულ გ. მ.-ის მეგობარმა, რ. მ.-მა გააფორმა მასთან ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მას მიენიჭა უფლება შესულიყო მსჯავრდებულ გ. მ.-სთან და განსასჯელ რ. მ.-ის დავალებით შეხვედროდა მას.

2.3 ე. ბ.-ის განმარტებით იგი არის მსჯავრდებულ რ. მ.-ის ადვოკატი, ხოლო რ. მ. მსჯავრდებულ გ. მ.-ის მეგობარია. მსჯავრდებული რ. მ. სასჯელს იხდის რუსთავში, ხოლო გ. მ. – თბილისში. მათ ერთმანეთთან დაკავშირების საშუალება არ აქვთ, რის გამოც ადვოკატი ე. ბ. რ. მ-ის დავალებით შეხვდა გ. მ.-ს.

2.4 ადვოკატ ე. ბ.-ის განმარტების მიხედვით, ამ შეხვედრის მიზანი იყო ეთხოვა მსჯავრდებულ გ. მ.-სთვის, რომ მას რ. მ.-ის სახელით ეშუამდგომლა ადვოკატ მ. ნ.-სთან, რათა ადვოკატი მ. ნ. შეღავათიან ფასად დახმარებოდა რ. მ.-ს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მეშვეობით ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადასვლაში. ე. ბ.-ის განმარტებით, განსასჯელ გ. მ.-სთან პირველი შეხვედრისას მისთვის უცნობი იყო ადვოკატ მ. ნ.-ის ვინაობა.

2.5 ადვოკატის განმარტების მიხედვით, მსჯავრდებული გ. მ. დაჰპირდა მას, რომ სთხოვდა თავის ადვოკატს რ. მ.-ის დახმარებას და ადვოკატი მ. ნ. თვითონვე დაუკავშირდებოდა მას. ე. ბ.-მა ტელეფონის ნომერი დაუტოვა მსჯავრდებულს, რომ მ. ნ. თავად დაკავშირებოდა.

2.6 ე. ბ-ის განმარტებით, მსჯავრდებულ გ. მ.-სთან მისი შეხვედრიდან ორი კვირის განმავლობაში, ადვოკატი მ. ნ. მას არ დაკავშირებია. ე. ბ. მეორედ შევიდა გ. მ.-სთან იმის გასარკვევად, თუ რატომ არ დაუკავშირდა მ. ნ.. ადვოკატის განმარტებით, მას რომც სცოდნოდა კოლეგის ნომერი, ვერ დაუკავშირდებოდა მანამ, სანამ მსჯავრდებული გ. მ. არ ეტყოდა, რომ რ. მ. მისი მეგობარი იყო და არ სთხოვდა დახმარებოდა შეღავათიან ფასად. სხვა შემთხვევაში აზრი არ ჰქონდა ადვოკატების შეხვედრას.

2.7 მსჯავრდებულ გ. მ-სთან მეორედ შეხვედრის შემდეგ, ადვოკატი ე. ბ. დაუკავშირდა ადვოკატ მ. ნ.-ს და შეთანხმდნენ შეხვედრაზე. მოგვიანებით, ე. ბ.-ს ეთიკის კომისიიდან შეატყობინეს, რომ ადვოკატმა მ. ნ.-მ მის წინააღმდეგ შეიტანა საჩივარი ეთიკის კომისიაში და უარი თქვა შეხვედრაზე.

2.8 ე. ბ-ის განმარტებით, მისი ქმედებები გამომდინარეობდა რ. მ-ის ინტერესებიდან და მისი დავალებით, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, მე-6, მე-19 მუხლების და ეთიკის კოდექსის მე-3, მე-5, მე-7, მე-8 მე-10 მუხლების შესაბამისად.

2.9 2010 წლის 21 ოქტომბერს განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა ე. ბ.-მა განმარტა, რომ ეთანხმება მის მიერ საპროცესო კოლეგიისათვის მიცემულ ახსნა-განმარტებას და კიდევ ერთხელ ახსნა საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

2.10 ადვოკატმა მიუთითა, რომ იგი მოქმედებდა თავისი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და მისი დავალებით. ადვოკატი მიიჩნევს, რომ მას არ დაურღვევია კოლეგიალობის პრინციპი, მით უფრო, რომ აღნიშნული პრინციპის თანახმად ადვოკატ მ. ნ.-საც ეკისრებოდა ვალებულება მას დაკავშირებოდა. ე. ბ. აღნიშნავს, რომ მას არ გააჩნია ადვოკატ მ. ნ.-ის კოორდინატები და თავისი კოორდინატები დაუტოვა მ. ნ.-ის კლიენტს, რათა თავად ადვოკატი მ. ნ. დაკავშირებოდა მას.

2.11 ადვოკატმა ახსნა, რომ იგი მოქმედებდა საკუთარი კლიენტის დავალებით და ორდერიც იმ მიზნით გამოწერა, რომ საკუთარი კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით მიეღო მისთვის საჭირო ინფორმაცია. თუმცა აღნიშნა, რომ თუ საჭირო იქნებოდა მ. ნ. კლიენტის ინტრესებსაც დაიცავდა.

2.12 ადვოკატმა ე. ბ.-მა განაცხადა, რომ მსჯავრდებულ გ. მ.-ს მისთვის სამართლებრივი დახმარება არ უთხოვია, მათი საუბარი შეეხებოდა მხოლოდ ე. ბ.-ის კლიენტის პრობლემებს.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2010 წლის 4 ოქტომბერს საპროცესო კოლეგიამ გამოიტანა გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატ ე. ბ.-ის მიერ შეიძლება დარღვეულად ჩაითვალოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7, მე-10 დ მე-11 მუხლები.

3.3 საპროცესო კოლეგიის აზრით, ადვოკატ ე. ბ.-ს შეეძლო და ვალდებულიც იყო დაკავშირებოდა თავის კოლეგას, ადვოკატ მ. ნ.-ს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად, კოლეგიალობისა და პროფესიის კორპორატიული არსიდან გამომდინარე, ადვოკატთა შორის ნდობასა და თანამშრომლობაზე დამყარებული ურთიერთობის გათვალისწინებით.

სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფატობრივი გარემოებები

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატების პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები.

4.1.1 ადვოკატმა ე. ბ.-მა გააფორმა ხელშეკრულება თავის კლიენტთან, რ. მ.-თან იმ მიზნით, რომ რ. მ.-ის დავალებით შეხვედროდა მსჯავრდებულ გ. მ.-ს. აღნიშნული ხელშეკრულების სახელზე გამოიწერა ორდერი ე. ბ.-ის სახელზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ადვოკატ ე. ბ.-ს 2010 წლის 26 ივლისისი ახსნა- განმარტება. (მე-2 გვ, 1- ლი აბზაცი)

4.1.2 ადვოკატი ე. ბ. ორჯერ შეხვდა მსჯავრდებულ გ. მ.-ს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატ მ. ნ.-ის 2010 წლის 2 ივლისის საჩივარი (1- ლი გვ; მე-2 აბზაცი);
2. ადვოკატ ე. ბ-ს 2010 წლის 26 ივლისის ახსნა- განმარტება (მე-2 გვ, მე-3 აბზაცი; მე-3 გვ მე-2 აბზაცი);
3. მსჯავრდებულ გ. მ.-ს 2010 წლის 2 ივლისის განცხადება 1-ლი გვ; 1-ლი აბზაცი)

4.1.3 ადვოკატმა ე. ბ.-მა არ შეატყობინა ადვოკატ მ. ნ.-ს მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირთან, გ. მ.-სთან შეხვედრის თაობაზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატ მ. ნ.-ის 2010 წლის 2 ივლისის საჩივარი (1- ლი გვ; მე-2 აბზაცი);
2. ადვოკატ ე. ბ.-ს 2010 წლის 26 ივლისის ახსნა-განმარტება (მე-4 გვ; 1-ლი აბზაცი)

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა და საქმის განმხილველი საპროცესო კოლეგიის თავმჯდომარის ახსნა-განმარტებები და თვლის, რომ ადვოკატ ე. ბ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ე. ბ.-ის მიერ დაირღვა შემდეგი მუხლები:

ა) „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილი: „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც არ არის აკრძალული კანონმდებლობით და პროფესიული ეთიკის ნორმებით“;

ბ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი: ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა.

გ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილი: „ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა.“

6.2 განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე უნდა იმსჯელოს ადვოკატ ე. ბ.-სა და მსჯავრდებულ გ. მ.-ს შორის ორდერის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობის თაობაზე და შეაფასოს ადვოკატ ე. ბ.-ს სახელზე ორდერის გამოწერის შესაბამისობის საკითხი ადვოკატებისთვის კანონით დაკისრებულ სტატუტორულ მოვალეობასთან და პროფესიული ეთიკის კოდექსთან.

6.3 განხილვის კოლეგიის აზრით, კონკრეტული პირის მიერ ადვოკატის სახელზე ორდერის გამოწერა წარმოშობს ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას, რაც გულისხმობს ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების დაცვასა და იმ ვალდებულებების შესრულებას, რაც განსაზღვრულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით და შესაბამისი საპროცესო კანონმდებლობით.

6.4 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლების შეფასების საფუძველზე, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ უფლებამოსილი პირების მიერ ადვოკატთან ხელშეკრულების დადება სისხლის სამართლის საქმეში მისი მონაწილეობის თაობაზე მიზნად უნდა ისახავდეს მსჯავრდებულის ინტერესების დაცვას.

6.5 განხილვის კოლეგია თვლის, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ ცნობს უფლებამოსილი პირების (განსახილველ შემთხვევაში მეგობრის) მიერ ადვოკატთან ხელშეკრულების გაფორმებას სხვა მიზნით (სხვა კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით), გარდა ორდერში მითითებული პირის ინტერესების დაცვისა. განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატის სახელზე ორდერის გამოწერა უნდა განხორციელდეს ორდერის საფუძველზე განსაზღვრული პირის ინტერესების დასაცავად და არა სხვა პირის, თუნდაც ის ადვოკატის კლიენტი იყოს, დავალების შესასრულებლად.

6.6 მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ ე. ბ.-ს სახელზე გამოწერილი ორდერი მიზნად ისახავდა არა მსჯავრდებულ გ. მ.-ის ინტერესების დაცვას (ვისი დასაცავადაც იქნა ხელშეკრულება

გაფორმებული და ორდერი გამოწერილი), არამედ ადვოკატ ე. ბ.-ის სხვა კლიენტის, რ. მ.-ის ინტერესების დაცვას. ადვოკატმა ე. ბ.-მა მოცემულ შემთხვევაში იმოქმედა რ. მ.-ის დავალების საფუძველზე და მსჯავრდებულ გ. მ.-ს შეხვდა მხოლოდ იმ მიზნით, რომ მიეღო რ. მ.-ის დასაცავად საჭირო ინფორმაცია, რომელიც რ. მ.-ს დაეხმარებოდა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანაში. აღნიშნული დადასტურებული იქნა ადვოკატ ე. ბ.-ს მიერ საპროცესო კოლეგიასთან გასაუბრების ეტაპსა და განხილვის კოლეგიის სხდომაზე.

6.7 განხილვის კოლეგია თვლის, რომ ადვოკატ ე. ბ.-ს არ ჰქონდა უფლება შესულიყო და ესაუბრა გ. მ.-სთან. „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, ვისაც ამის განხორციელების უფლებამოსილება გააჩნია. აღნიშნული უფლებამოსილება ადვოკატს ეძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ახორციელებს მსჯავრდებულის ინტერესების დაცვას. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი ე. ბ. ახორციელებდა არა მსჯავრდებულ გ. მ.-ის, არამედ მსჯავრდებულ რ. მ.-ის ინტერესების დაცვას, რაც მას ვერ მიანიჭებდა უფლებას მოენახულებინა მსჯავრდებული გ. მ.

6.8 განხილვის კოლეგია თვლის, რომ ადვოკატმა ე. ბ.-მა ზემოაღნიშნული ქმედებით კლიენტის ინტერესებზე მაღლა დააყენა სხვა პირის (სხვა კლიენტის) ინტერესები, რაც არ შეესაბამება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლსა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლს.

6.9 განხილვის კოლეგია საჭიროდ მიიჩნევს მიუთითოს, რომ მართალია საპროცესო კოლეგიის აზრით შეიძლება დადასტურდეს ადვოკატ ე. ბ.-ის მიერ ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლისა მე-4 ნაწილის ფორმალური დარღვევა, მაგრამ თავად ამ ნორმის გამოყენება შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლით გარანტირებულ კონფიდენციალობის პრინციპს.

6.10 განხილვის კოლეგიის აზრით, კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება გარანტირებულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც იერარქიით უფრო მაღლა მდგომი აქტია, ვიდრე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი და წინააღმდეგობრივად რეგულირებული საკითხები უნდა გადაწყდეს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

6.11 განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ კონფიდენციალობის პრინციპის თანახმად, ადვოკატმა არ უნდა გაამჟღვანოს ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში. კონფიდენციალური ინფორმაცია მოიცავს მათ

შორის ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ადვოკატს გაუფორმეს ხელშეკრულება კონკრეტული კლიენტის დაცვის მიზნით, თუ თავად კლიენტი არ მისცემს ადვოკატს უფლებას საჯარო გახადოს აღნიშნული საკითხი. კონკრეტულ შემთხვევაში, თვითონ დაცვის განხორციელება დაიწყო კანონის და პროფესიული ქცევის ნორმების დარღვევით, შესაბამისად განხილვის კოლეგია მოკლებულია საშუალებას იმსჯელოს, გაიცა თუ არა კლიენტის მიერ ნებართვა ადვოკატ ე. ბ.-ს განეცხადებინა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობიდან გამომდინარე კონფიდენციალური ინფორმაცია მესამე პირებისათვის, მათ შორის ადვოკატ მ. ნ.-სთვის, თუმცა განხილვის კოლეგიის აზრით, კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაციის დაცვის ვალდებულება ყოველთვის უპირატესია ადვოკატებს შორის ურთიერთთანამშრომლობიდან გამომდინარე ვალდებულებებზე. ეს დასკვნა ასევე გამომდინარეობს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის მეორე წინადადებიდან, რომლის თანახმადაც დაუშვებელია კლიენტი ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება.

სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-7 მუხლებით; „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4, მე-5, მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილითა და მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით; ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ა)ქვეპუნქტით, 35-ე მუხლით, „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულების მე-18 და მე-20 მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. ადვოკატ ე. ბ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათის მიცემა.

2. კერძო სარეკომენდაციო ბარათის ასლი შეინახოს დისციპლინურ საქმეში დაბეჭდილ კონვერტში. მისი გახსნა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატ ე. ბ.-ის წინააღმდეგ დაიწყება ახალი დისციპლინური დევნა.

3. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს ადვოკატს გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღის განმავლობაში.

4. ადვოკატ ე. ბ.-ს უფლება აქვს ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

ემზარ პაქსაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

იური ვაზაგაშვილი - კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია - კოლეგიის წევრი